ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „გადაიხადოს 41 ლარი“

ბექა ბასილაია ირაკლი კობახიძეს სასამართლოში უჩივის



გვ.5

17 ნოემბრიდან

ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 2020 №240 (8504) ფასი: 60 თეთრი

# „საქართველოში ამერიკის ბაზა უფრო გვჭირდება, ვიდრე ნატოს წევრობა“



გვ.3

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია პარლამენტში თუ არ შევა, მეეჭვება, პარლამენტი ერთპარტიული დარჩეს. ალბათ, შიდაცვლილებები მოხდება“



## „ქვეყანაში კრიზისი გარდაუვალია“

არჩილ გამზარდია: „სააკაშვილი ნაკლებად აქტიური რომ ყოფილიყო, ოპოზიციის პერსპექტივებს ბევრად უფრო წაადგებოდა“



გვ.3



გვ.2

აკაკი ბობოხიძე: „ახლა დიალოგი დიალოგისთვის არის, მაგრამ, დადგება დრო, როცა „ოცნებას“ რეალურ მოლაპარაკებაზე მოსვლა მოუწევს“




## „რა იგულისხმა თეა წულუკიანმა, ბიძინამაც არ იცის“



გვ.2

## სოზარ სუბარი: „ნაციონალების აგიტატორები მუშაობენ, რომ მათი მხარდამჭერები მეორე ტურზე მივიდნენ“



გვ.4

## შოთა მალაშხია: „ამერიკის ინტერესია, საქართველოს ჰყავდეს პროდასავლური ხელისუფლება“

„ოპოზიცია ხმების დასაცავად ყველა ღონეს ხმარობს. დანარჩენი მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული“

## დავით უსუფაშვილი: „გამოსავალი ხელახალი არჩევნებია“



გვ.2

ISSN 1987-9385

2 თამარ ჩიხლაძემ, თეონა ბაკურიძემ და ნათია ზოიძემ „ტვ პირველი“ დატოვეს

4 მამაკაცი ქალს სექსუალური ძალადობის გამო უჩივის

რა მოხდა ზესტაფონში

5 საქართველო ტერორისტული თავდასხმების მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვს არ განეკუთვნება

6 ილჰამ ალიევი: „ყარაბაღის სტატუსზე საუბარი გამორიცხულია“

# აკაკი ბობოხიძე: „რა იგულისხმა თეა წულუკიანმა, ბიძინამაც არ იცის“

## „ახლა დიალოგი დიალოგისთვის არის, მაგრამ, დადგება დრო, როცა „ოცნებას“ რეალურ მოლაპარაკებაზე მოსვლა მოუწევს“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი და მის ირგვლივ არსებული რამდენიმე ძალა ანტიდასავლურია. წულუკიანი ამ ფორმით გამოეხმაურა სააკაშვილის განცხადებას, რომელშიც მან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი გააკრიტიკა და რუსეთთან თანამშრომლობა დასდო ბრალად.**




რა პასუხი აქვს ოპოზიციას თეა წულუკიანის განცხადებებზე, ასეთი განცხადებების ფონზე რამდენად რჩება დიალოგისთვის სივრცე და რას ელოდება ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს ვიზიტისგან? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

***– თეა წულუკიანმა თქვა, რომ სააკაშვილი, რომელიც ოპოზიციის ლიდერია, მის ირგვლივ არსებულ რამდენიმე ძალასთან ერთად, ანტიდასავლურ ძალად იქცა. ამ ძალებს შორის, სავარაუდოდ, „ევროპული საქართველოც“ გიგულისხმათ. რას უპასუხებთ მას?***

– ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. თეა წულუკიანის განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არ მინდა, მით უმეტეს – მის სავარაუდო განცხადებებზე. არ ვიცი, რა იგულისხმა თეა წულუკიანმა და, მგონი, ეს თვით ბიძინამაც არ იცის.

***– როცა პირდაპირ თქვა, სააკაშვილის ირგვლივ რამდენიმე ძალააო, ალბათ, გიგულისხმათ ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც ერთობა გაქვთ.***

– არ ვიცი, რა იგულისხმა. ჩვენ, „ევროპული საქართველო“, თავს არავის ირგვლივ არ მოვიაზრებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არავის ირგვლივ არ ვართ და თვითკმარი პარტია ვართ.

***– ხელისუფლებისგან პირველი მცდელობა არ არის, როდესაც ასე გიწოდებენ ოპოზიციურ პარტიებს. უნდათ, იმგვარად წარმოაჩინონ, რომ ყველა ნაციონალია და ყველა სააკაშვილის ირგვლივ არის?***

– თეა წულუკიანსა და ბატონ ბიძინას უნდათ, საქართველო ორპოლუსიან ველად აქციონ, მაგრამ არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ ასე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ორი მსხვილი მოთამაშეა, მაგრამ, თუ გაყალბების მასშტაბებსაც გავითვალისწინებთ, საქართველოში სინამდვილეში პოლიტიკური ველი დივერსიფიცირებულია.

***– სააკაშვილის განცხადებას ეთანხმებით, როდესაც მან იმ ჰოლანდიელ დეპუტატს, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ხელმძღვანელობდა, რუსეთის აგენტი უწოდა?***

– არა, მას აგენტი არ უწოდებია, რუსეთის კმაყოფაზე მყოფი უწოდა. ეს ის შემთხვევაა ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომ ამას თავისუფლად შეიძლება დაეთანხმო კაცი, იმიტომ რომ, როგორც ვიცი, მაგ ბატონს ზიუგანოვის სურათი უკიდია კაბინეტში და ყირიმის ანექსიის მომხრეც კი არის. არაფერი ახალი არ უთქვამს ბატონ სააკაშვილს.

***– მაშინ, რატომ შეარჩია ასეთი პირი დელეგაციის ხელმძღვანელად ევროსაბჭომ?***

– ის, რომ ევროსაბჭოში ასეთი ტიპის დეპუტატებიც არიან, ახალი არ არის. არ არის გასაკვირი ეს ამბავი, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ე.წ. დემოკრატიული ფრთის ლიდერები ამ პანდემიისას ერიდებიან სადმე წასვლა-წამოსვლას.

***– საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო. რას ელით ამ ორდღიანი ვიზიტისგან? მართალია, ოპოზიცია ვერ შეხვდებით, მაგრამ გაქვთ გზავნილები. რა ფორმით გადასცემთ ამ გზავნილებს?***



– არაფერს განსაკუთრებულს არ ველი პომპეოს ვიზიტისგან. რა თქმა უნდა, ეს არის მნიშვნელოვანი ვიზიტი, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, წარმავალი ადმინისტრაციის წარმომადგენელია. ასე რომ, განსაკუთრებულს არაფერს ველოდები. ალბათ, გარკვეულ გზავნილებს ჩამოიტანს. ასევე, არ არის პრობლემა, რომ ჩვენ, ოპოზიციამ და მოქალაქეებმაც მივაწვდინოთ ჩვენი ხმა. არ არის აუცილებელი შეხვედრა იმისათვის, რომ ჩვენი მესიჯები და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მივაწოდოთ. ამ ქვეყანაში მიმწოდებელი ძალიან ბევრია სხვადასხვა არხით.

***– რა სახის აქცია გექნებათ 18 ნოემბერს?***

– დაგეგმილი გვაქვს სიმბოლური აქცია – ცოცხალი ჯაჭვი, რომელიც დაიწყება რუსთაველის გამზირიდან და გაგრძელდება ფილარმონიისკენ.

***– ამ აქციის გზავნილი რა არის, რის თქმა გინდათ?***

– არაფერი. ვაპროტესტებთ შექმნილ მდგომარეობას.

***– თქვენი ხმა გინდათ მიაწვდინოთ უშუალოდ პომპეოს და ამისკენ არის ეს აქცია მიმართული თუ თქვენი მიზანია, ხმა მიაწვდინოთ მსოფლიოს და იყენებთ შესაძლებლობას, როდესაც მსოფლიო მედია გააშუქებს სახელმწიფო მდივნის ვიზიტს?***

– ჩვენი ხმა, ზოგადად, მიმართულია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისადმი, ამ შემთხვევაში – ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისადმი. ზოგადად, ჩვენი პროტესტი მიმართულია ჩვენი დასავლელი პარტნიორების დასანახად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ეხება ამერიკის ადმინისტრაციას, მართალია, წარმავალს, მაგრამ მაინც, იმიტომ, რომ შეერთებული შტატები ის ქვეყანაა, სადაც ადმინისტრაციების ცვლილება მაინცდამაინც დიდ გავლენას არ ახდენს საერთო სახელმწიფო პოლიტიკაზე.

***– დაიწყო დიალოგი ხელისუფლება-ოპოზიციას შორის, თუმცა ისევ დაპირისპირებული მხარეები ხართ. იმ განცხადებების ფონზე, რომლებიც გვესმის ხელისუფლებისგან, დიალოგისთვის შანსი რჩება?***

– ვფიქრობ, ამ ეტაპზე დიალოგი და მოლაპარაკებები მხოლოდ მოლაპარაკებისთვის არის, მაგრამ, დადგება დრო, როდესაც „ქართულ ოცნებას“ მოუწევს რეალური მოლაპარაკებისთვის მოსვლა შეხვედრებზე და არა ფორმალობისთვის, როგორც ახლა ხდება.

***– როგორ მოუწევს ეს, რის საფუძველზე ამბობთ ამას?***

– მოუწევს, მოუწევს, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ზეწოლის შედეგად. ზოგადად, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მოუწევს ხელისუფლებას ამის გაკეთება. ვგულისხმობ როგორც პოლიტიკურ მდგომარეობას, ასევე – სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასაც.

სამწუხაროდ, ქვეყანა ამ მიმართულებით გარდაუვლად მიექანება, შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ ამაზე წამოსვლა აუცილებლად მოუწევს.

## სოზარ სუბარი: „ნაციონალების აგიტატორები მუშაობენ, რომ მათი მხარდამჭერები მეორე ტურზე მივიდნენ“

– ნაციონალური მოძრაობა არანაკლებ ემზადება არჩევნების მეორე ტურისთვის, ვიდრე ჩვენ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

სუბარის ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის აგიტატორები მუშაობენ, რომ მათი მხარდამჭერები მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად მივიდნენ.

– ერთია, რას ამბობენ და მეორეა, რას აკეთებენ ველზე. ცალკე საკითხია, როგორ მოიქცევიან ბოლო დღეს, მაგრამ თვითონ არანაკლებ ემზადებიან მეორე ტურისთვის, ვიდრე ვემზადებით ჩვენ, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

სუბარი იმასაც ამბობს, რომ არც ახლაა დაგვიანებული ოპოზიციისადმი მათი შეთავაზება 1.500 საარჩევნო უბნების ხელახალი გადათვლისა და კამერების გახსნის თაობაზე, „რისი გაკეთება ახლაც შესაძლებელია“. სუბარი ირწმუნება, რომ ცესკოს მიერ 31 ოქტომბრის არჩევნების შეჯამება უბნების გადათვლას ხელს არ უშლის.

– აქეთ ვთავაზობთ – წაიღეთ, გადათვალეთ, მაგრამ არ ითვლიან, არ უნდათ! ვეუბნებით, ყველა ვიდეო გავხსნათ... „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის ერთი მილიონი ხმა მიიღო და, თუ უნდათ, რომ ეს ხმები მოვიკლოთ და გადავანაწილოთ, ამის არც სურვილი გვაქვს და ამის არც კანონი არსებობს. ერთი ხმა ვერ მოაკლდება იმას, რაც მიღებული გვაქვს. თუ აქვთ უბნების გადათვლისა და ვიდეოების გახსნის სურვილი და თუ ამის შემდეგ გამოვლინდება, რომ არის გაყალბება, შესაბამისი დარღვევები, კი ბატონო! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ამავე კონტექსტში სუბარმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის შესახებ ახირებაა და „ხუშტურზე ვერ წავლენ“.

## დავით უსუფაშვილი: „გამოსავალი ხელახალი არჩევნებია“

– ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რა პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური პრობლემები ელის, თუ საქართველოში გვექნება პარლამენტი, რომელშიც არავინ იქნება ერთი პარტიის გარდა.

ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

დავით უსუფაშვილის თქმით, თუ მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის ვერ შედგა შეთანხმება, ხელისუფლებაც დაზარალდება და ოპოზიციაც.

– რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს საქართველო ჩვენი პარტნიორების თვალში, თუ ვერ მოვახერხეთ შეთანხმება ახალი არჩევნების თაობაზე და შესაბამისად, ვერ დამშვიდდა ვითარება, მაშინ, კი, ჩვენ მივიღებთ ძალიან მძიმე ვითარებას, იმ ტიპის ჩიხურ ვითარებას, როდესაც დაზარალდება ხელისუფლება, ოპოზიცია და დაზარალდება ქვეყანაც. მოგებული ის დარჩება, ვინც ამ ვითარებაში ახალ არჩევნებზე შეთანხმებას შეუწყობს ხელს.

ოპოზიციის ხელში ბერკეტები არის 100-ჯერ უფრო ნაკლები. ეს თემები ხელისუფლების გადასაწყვეტია, როგორ მოაგვაროს კრიზისი. ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რა პოლიტიკური, სამართლებრივი მორალური პრობლემები ელის, თუ საქართველოში გვექნება პარლამენტი, რომელშიც არავინ იქნება, ერთი პარტიის გარდა. თუ მართლაც არავინ არ შევიდა პარლამენტში, რაც დღევანდელი რეალობაა, ესაა, არავინ აპირებს შესვლას, – განაცხადა უსუფაშვილმა.

დავით უსუფაშვილის თქმით, გამოსავალი ხელახალი არჩევნების ჩატარებაა.

– ამ ვითარებაში უნდა მოვძებნოთ გამოსავალი. ახალი არჩევნების თაობაზე შეთანხმების რაც შეიძლება მალე მიღწევა არის ის გზა, რომელზეც შეგვიძლია, ერთად გავიაროთ, – ამბობს უსუფაშვილი.

## ალეკო ელისაშვილი: „სად დაიმალა ირაკლი კობახიძე?“

– დებატებში გიწვევო და დამალულია სადღაც სოროში, რა მაგარი ბიჭია! – ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, რითაც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა.

მისივე თქმით, წმინდა საქმეა წინასაარჩევნო დებატები, რათა საზოგადოება ინფორმირებული იყოს.

– რატომაა გატრუნული? რომ გვითხრა გიწვევთო, მერე რა ქნა? სად წავიდა? კრიზისის დროს დებატები აღვივებს და ამწვავებს კრიზისს, მაგრამ წმინდა საქმეა, წინასაარჩევნოდ იყოს დებატები, რათა საზოგადოებას ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდეს. დებატებში გიწვევო და დამალულია, სადღაც სოროში, რა მაგარი ბიჭია! – განაცხადა ელისაშვილმა.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ოპოზიციას არჩევნებთან დაკავშირებით დებატებში იწვევს.

## თამარ ჩიხლაძემ, თეონა ბაკურიძემ და ნათია ზოიძემ „ტვ პირველი“ დატოვეს

ტელეწამყვანებმა თეონა ბაკურიძემ და თამარ ჩიხლაძემ, ასევე, პროდიუსერმა ნათია ზოიძემ „ტვ პირველი“ დატოვეს.

ეს ინფორმაცია „ნეტგაზეთს“ სამივე მათგანმა დაუდასტურა. ამასთან, ჟურნალისტები გადაწყვეტილებას სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხს არ უკავშირებენ.

– ჩემი გადაწყვეტილება არ უკავშირდება სარედაქციო თავისუფლების საკითხს. „ტვ პირველმა“ მომცა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი „ღამის ამბები“, რის გამოც ძალიან მადლიერი ვარ, თუმცა, საბოლოოდ, გადაწყვეტილებას ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით იღებ. ამ ეტაპზე ეს ჩემი არჩევანია. აღარ მოვისურვე ჩემი სატელევიზიო კარიერის გაგრძელება ამ სივრცეში. სამომავლო საქმიანობას რაც შეეხება, ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიმიღია, – უთხრა „ნეტგაზეთს“ თამარ ჩიხლაძემ.

თეონა ბაკურიძის თქმით, მისი გადაწყვეტილება, ასევე, არ უკავშირდება სარედაქციო დამოუკიდებლობას.

– ჩემი მხრიდან თანამშრომლობის რესურსი ამოიწურა. ეს არ უკავშირდება სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხს, რაც ჩემს გადაცემებში გარანტირებული იყო. სწორედ სარედაქციო თავისუფლების გამო მოვედი მე ამ არხზე, მადლობა „ტვ პირველს“ ამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობისთვის, – განუცხადა „ნეტგაზეთს“ „დღის ამბების“ წამყვანმა თეონა ბაკურიძემ.

მისი თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, სად გააგრძელებს საქმიანობას.

ტელევიზიის დატოვების შესახებ ინფორმაცია დაუდასტურა „ნეტგაზეთს“ „დღის ამბების“ პროდიუსერმა ნათია ზოიძემაც, თუმცა მიზეზების შესახებ არ უსაუბრია.

– ხელშეკრულება ამომეწურა და აღარ გავაგრძელე, – აღნიშნა მან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქვეყანაში კრიზისი გარდაუვალია“

## არჩილ გამზარდია: „სააკაშვილი ნაკლებად აქტიური რომ ყოფილიყო, ოპოზიციის პერსპექტივებს ბევრად უფრო წაადგებოდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია პასუხობს.**

***– არჩილ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? გვესმის შეფასებები, რომ ოპოზიციის ქმედებები არათანმიმდევრული და არაგონივრულია. დიდი აგრესია და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა სირცხვილის დერეფნების მოწყობის საკითხს. თავად ოპოზიციის ნაწილი გაემიჯნა ამ ინიციატივას. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– რაც შეეხება თვითონ სირცხვილის დერეფნებს, მე როგორც ამიხსნეს მერე, რაღაცნაირად არასწორი მესიჯი გამოუშვეს, რადგან ლაპარაკი სირცხვილის დერეფნებზე იმ შემთხვევაშია, როდესაც თანამდებობის პირები მიდიან ხმის მისაცემადო. მათთვის მოსაწყობ სირცხვილის დერეფნებზეა საუბარიო, რაც ამ შემთხვევაში ჯდება წინააღმდეგობრივ ფორმაში.

***– შესაძლოა, არ ელოდნენ ასეთ წინააღმდეგობას და შემდეგ შეცვალეს მესიჯი, რადგან თავიდან ამომრჩეველიც იგულისხმებოდა.***

– წინააღმდეგობა იმიტომ წამოვიდა, რომ მესიჯი არასწორად გააჟღერეს. სწორედ ამიტომ გახდა შემდეგ საჭირო ეს განმარტებები. როგორც ჩანს, შიგნით არ შეთანხმდნენ და ისე გაკეთდა განცხადება. შეთანხმება რომ მომხდარიყო პარტნიორებს შორის, მაშინ დატვირთვასაც სწორად მისცემდნენ და აზრის ვექტორსაც. აი, ამან გამოიწვია ის რეაქციები, რომლებიც მათ ნათქვამს მოჰყვა.

***– ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ეს რაუნდი წააგო. ასეა?***

– მე ვფიქრობ, რომ შეთანხმებულობის კუთხით ოპოზიციაში ჯერ კიდევ დასახვეწია ურთიერთობა, მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც არათანმიმდევრულები არიან. უბრალოდ, რაღაცა ეტაპზე შეიძლება გაიჭედონ და საერთაშორისო პარტნიორებისა თუ ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერის ფაქტორი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. სხვა შემთხვევაში, ვერ ვიტყოდი, რომ არათანმიმდევრულები არიან. რადგან აიღეს გზად, რომ პარლამენტში არ უნდა შევიდნენ და „ქართული ოცნების“ ერთმმართველობა გაფორმდეს, მე ამ პოზიციას ვიზიარებ. უბრალოდ, მე ვფიქრობ, საპროტესტო აქციების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ საპროტესტო აქციებს წინ უნდა უძღოდეს ან კონკრეტული სიახლეები, რის გამოც დამატებითი პროტესტი იქნება, სხვა შემთხვევაში ეს ყველაფერი შეიძლება ერთმანეთს მიემსგავსოს და ამდენი საპროტესტო აქცია-ივენთი, ვფიქრობ, არ არის საჭირო. ოპოზიციონერი ლიდერები გადაღლილები არიან და მერე ისე არ მოხდეს, ამ გადაღლას მოჰყვეს გაპასიურება და სწორედ მერე წამოვიდეს არათანმიმდევრულობა.

***– პარალელურად, მოლაპარაკებებიც დაიწყო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რომელშიც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც მონაწილეობენ. რას ელოდებით, მოიძებნება კონსენსუსი?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს რაუნდები რაღაც მომენტებში ძალიან რიტუალურია. ორი წითელი ხაზია აქ გაბმული, ერთი ხელისუფლებას აქვს და ერთი – ოპოზიციას. ხელისუფლების წითელი ხაზი ის არის, რომ კომპრომისების ოდენობა შეიძლება მივიდეს მხოლოდ იქამდე, რომ „ოცნებას“ ხელისუფლება არ გამოეცალოს, ის აუცილებლად უნდა დარჩეს ხელისუფლებაში და ოპოზიციას კიდევ, პირიქით, მხოლოდ იმ ტიპის კომპრომისებზე შეუძლია წასვლა, რომ საერთო ჯამში „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგოს ძალაუფლება. ამ წითელი ხაზების დაახლოების პერსპექტივის ნაკლებად მჯერა. ამიტომ, მგონია, რომ ეს, უბრალოდ, რიტუალია და ამ მოლაპარაკებების იმედი ნაკლებად მაქვს. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ცდილობენ, პოზიციონირება მოახდინონ მედიატორებთან, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და ასევე მოსახლეობასთან.

***– აი, ჩვენ ვცადეთ და არაფერი გამოვიდა?***

– დიახ და, რომელიც უკეთესად მოახერხებს პოზიციონირებას, ის დამატებით მორალურ ბენეფიტს მიიღებს.

***– პომპეოს ვიზიტი თუ შეცვლის რამეს?***

– რამდენადაც ვიცი, პომპეოს ვიზიტი ამ საკითხებზე არ არის ორიენტირებული. შესაძლოა, მეტ-ნაკლებად შეეხოს, თუმცა აქ ამერიკის ელჩის ჩართულობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო მეტი ეფექტი აქვს, რადგან ის არის მისი სახელმწიფოს წარმომადგენელი. ის აწვდის აქედან ძირითად ინფორმაციას. ამას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, ვიდრე პომპეოს ჩამოსვლას, რომელსაც სრულიად სხვა დღის წესრიგი აქვს და ამ დეტალებამდე არ დადის.

***– როგორ ფიქრობთ, „ოცნება“ მარტო აღმოჩნდება პარლამენტში თუ იქნებიან ოპოზიციიდან ერთეული წარმომადგენლები ან თუნდაც პატარა პარტიები, რომლებიც ამ არჩევნებს „გაუპრავებენ“ ხელისუფლებას?***



– იმედი მაქვს, ამ შემთხვევაში ეს ერთიანობის მოწადინება, რომელიც ოპოზიციას აქვს, არ შეიცვლება ან ერთიანი იქნება გადაწყვეტილებაში, პარლამენტში შესვლა იქნება ეს თუ არშესვლა. ამ მომენტში, ჩემი აზრით, ეს გეზი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია იმ ტიპის კრიზისის შექმნა, რომ მერე ხელისუფლება იძულებული გახდეს, რაღაც დათმობებზე წავიდეს, იმიტომ რომ, სანამ პარლამენტში არ გაფორმდება ერთმმართველობა, მანამდე ასე მძაფრად არ ჩანს ეს ყველაფერი არც პარტნიორებისა და არც მოსახლეობის ცნობიერებაში. როდესაც ეს ერთმმართველობა პარლამენტში გაფორმდება, მას, თავისთავად, ბევრი პრობლემა მოჰყვება.

***– ბევრს მაინც აქვს იმის მოლოდინი, რომ ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შევა.***

– კი, ეს მოლოდინი არის და თავად ხელისუფლებაც მუშაობს ცალკეულ ოპოზიციურ სუბიექტებთან. საქმე ის არის, რომ ოპოზიციონერი სუბიექტების ცალკეული შესვლა იქნება აშკარა გაფორმება მათი კერძო ინტერესებისა. ამიტომ უნდა დაფიქრდნენ, უღირთ თუ არა ეს. თუკი ოპოზიცია პარლამენტში შევა ხელისუფლების კომპრომისების გარეშე, რა კომპრომისებსაც შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოჰყვეს, მაშინ ოპოზიცია ამ ნაწილში დამარცხდება და საერთოდ რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?! ამიტომ, თანმიმდევრულობაზე როცა ვსაუბრობთ, ნებისმიერ შემთხვევაში ეს გზა ბოლომდე უნდა მიიყვანონ.

***– ოპოზიციამ უკანდასახევი გზა მოიჭრაო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინე. ამაზე რას ფიქრობთ?***

– უკანდასახევი გზა აქვთ, როგორ არ აქვთ. უბრალოდ, აქ საბრძოლო სტრატეგიაზეა საუბარი. ზოგიერთ შემთხვევაში უკანდახევას, შესაძლოა, ბევრად მეტი ეფექტი მოჰყვეს და უფრო წინ წაიწიონ, მაგრამ, თუკი პარლამენტში შევლენ, ამ შემთხვევაში ეს უკანდახევა, შესაძლოა, სრულიად უმიზნო გამოჩნდეს. გამოდის, რომ მთელ ამ პერიოდს არ ჰქონია აზრი და ხალხი მიდიოდა საპროტესტო აქციებზე პანდემიის პირობებში. არის მოლოდინი, რომ ეს ერთმმართველობა დასრულდეს და, თუკი ისინი პარლამენტში შევლენ ამ ყველაფრის მერე, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება მართებული გადაწყვეტილება. ოპოზიციამ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს – ხელახალ არჩევნებს მათი არშესვლით უფრო მეტი პერსპექტივა ექნება, ვიდრე მათი პარლამენტში შესვლით. ძალიან მძიმე ზამთარი გვაქვს გადასაგორებელი და არავინ ვიცით, რა სიტუაცია შეიქმნება. კრიზისი რომ გარდაუვალია, ცხადია.

***– საუბარია იმაზეც, რომ მიხეილ სააკაშვილის ასეთმა აქტიურმა ჩართულობამ საკმაოდ დააზარალა პროცესი, დაქსაქსა ოპოზიცია და ამით ახეირა „ქართული ოცნება“. რას იტყვით თქვენ?***

– ზოგადად, მიხეილ სააკაშვილის ასეთი აქტიურობა ორ რაღაცას ურტყამს ხოლმე – ერთი მხრივ, თავისი ამომრჩევლის მობილიზებას უწყობს ხელს, მაგრამ, ამავდროულად, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაც მოქალაქეების მობილიზებასაც უწყობს ხელს. ამიტომ არის ხოლმე დილემურ სიტუაციაში. მე ვფიქრობ, მსგავს შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი რომ ყოფილიყო უფრო „ძუნწად“ გამოხატული, ეს ბევრად მეტად წაადგებოდა ოპოზიციის პერსპექტივებს. გეტყვით იმასაც, რომ არც თავად ნაციონალურ მოძრაობაშია ჰარმონიული დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის აქტივობებისადმი. ნაცმოძრაობის ლიდერებს, შიდაელიტებს თავადაც აღიზიანებთ ეს პროცესი, თუმცა ამ ფაქტორს ვერაფერს უხერხებენ, რადგან ნაციონალურ მოძრაობაში ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი სუბიექტი, რომელიც თავისივე ელექტორატში დაეწევა მიხეილ სააკაშვილს. მიხეილ სააკაშვილის ასეთ აქტიურობას დამამუხრუჭებელი ეფექტი მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ ელექტორატს ააქტიურებს, ეს საკმარისი არ არის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მიშას უარყოფითი ფაქტორი ნამდვილად არსებობს და ამაში თავად პარტიის შიგნითაც, კულუარულად საუბრობენ.

# „საქართველოში ამერიკის ბაზა უფრო გვჭირდება, ვიდრე ნატოს წევრობა“

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია პარლამენტში თუ არ შევა, მეეჭვება, პარლამენტი ერთპარტიული დარჩეს. ალბათ, შიდაცვლილებები მოხდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ორდღიან ვიზიტზე რა საკითხები იქნება განხილული?***

– ამ ვიზიტის მარშრუტს თუ გადავხედავთ და ასევე გავიხსენებთ თურქეთის რეაქციას (პომპეუს ერდოღანი არ შეხვდა), ვნახავთ, რომ ეს ვიზიტი უკავშირდება რეგიონში გავლენების გადანაწილებას. ყარაბაღის საკითხმა, აშკარაა, რომ რეგიონში თურქეთისა და რუსეთის გავლენა გაზარდა. რუსეთის მხრიდან დამატებითი ბაზა რეგიონზე დამატებითი გავლენის ინსტრუმენტია. რეგიონში ძალთა ბალანსი არის ვიზიტის წამყვანი თემა.

საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული დასაყრდენის როლში რეგიონში, თუმცა უკვე მიმავალი ადმინისტრაციის მხრიდან ძალიან სერიოზული ნაბიჯები შეიძლება არ იყოს მაინცდამაინც მოსალოდნელი. ვნახოთ.

***– ანაკლიის პროექტი შეიძლება იყოს განხილული?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება. ანაკლიის პროექტზე პომპეუს ჯერ კიდევ ამერიკაში აქვს სპეციალური განცხადება გაკეთებული, რომ ეს პროექტი უნდა განხორციელდეს. ეს ჩვენს ყოფილ პრემიერს უთხრა, თუმცა მეეჭვება, რომ პომპეუმ დაფინანსების აღება მთლიანად სახელმწიფოს მოსთხოვოს, მით უფრო, მან იცის ჩვენი გაჭირვების ამბავი.

***– უშვებთ, რომ ამერიკამ საკუთარ თავზე აიღოს?***

– დიახ, არ გამოვრიცხავ. ამერიკის ბიუჯეტი – არა, მაგრამ უამრავი მექანიზმი არსებობს, ბოლოს და ბოლოს, კერძო ბიზნესი, რომელიც შეიძლება დაინტერესდეს ანაკლიის პროექტით. სიმართლე გითხრათ, მე ის მიკვირს, აქამდე რატომ არ მოიკითხეს ეს საკითხი.

***– ამერიკული ბაზის განთავსებაზე ხელმოწერები შეგროვდა, რომლებიც ძირითადად უსაფრთხოების თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორსა და თავდაცვის ყოფილ მინისტრებს ეკუთვნით. ეს, შეიძლება, მხოლოდ გზავნილი იყოს?***

– სიმართლე გითხრათ, არ მეჩვენება, რომ ასეთ გზავნილებს მხოლოდ არასამთავრობო სექტორი, რაც არ უნდა წონიანი ფიგურებით იყოს წარმოდგენილი, უნდა აკეთებდეს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. არსებობს საკითხები, რომლებიც პოლიტიკასა და საერთოდ ყველაფერზე მაღლა დგას და, ვფიქრობ, ეს სწორედ ასეთი საკითხია, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას ეხება. ეს ინიციატივა უკვე გახდა დასავლურ მედიაში განხილვის საგანი. მას ძალიან სერიოზული გამოხმაურებები მოჰყვა.

***– რისკებს ხედავთ ამ ინიციატივაში?***

– მხოლოდ ერთი მიმართულებით და ეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ეხება. თუ რუსეთი დაასკვნის, რომ ეს საქართველოდან არის ინიცირებული, მისი რეაქცია არ დააყოვნებს და ეს აგრესია საქართველოზე გადავა, მაგრამ, თუ ინიციატივა ამერიკის შეერთებული შტატებიდან წამოვა, მაშინ მისი რეაქცია გაცილებით სხვა იქნება და ჩვენ მისგან დარტყმას პირდაპირ არ მივიღებთ. სხვადასხვა შედეგზე ვსაუბრობ, ამიტომ საჯაროობა დარტყმის ქვეშ დააყენებს ინიციატივასაც და ქვეყანასაც. არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს ინიციატივა არასწორია. პირიქით, ძალიან სწორი ინიციატივაა. სწორედ ეს გვჭირდება. საქართველოში ამერიკის ბაზა გვჭირდება, შეიძლება, უფრო მეტადაც, ვიდრე ნატოს წევრობა. ალბათ, გარკვეული კოორდინაცია იყო ხელისუფლებასთან, თუმცა რისკები არის თუ არა სწორად დანახული, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

***– შიდაპოლიტიკურ პროცესზე რა რეაქცია ექნება პომპეუს? იქნება განხილვის საგანი?***

– მე მაინც გამოვრიცხავ შიდაპროცესებში პომპეუს აქტიურად ჩარევას, მით უფრო, რესპუბლიკელების ადმინისტრაცია რამდენიმე თვეში ტოვებს თეთრ სახლს.

***– შექმნილი სიტუაციიდან რა შეიძლება იყოს გამოსავალი? ვხედავთ, რომ მეორე ტურები დაინიშნა, მაგრამ ოპოზიცია არ აპირებს მონაწილეობას?***

– მე არ ვთვლი, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არ არის. ოპოზიციის უარი გადათვლაზე კითხვებს აჩენს.

***– მათი არგუმენტია, რომ ცესკომ დაასწრო მოვლენებს და ოქმები შეაჯამა.***

– სასამართლოში შეიტანონ სარჩელი. ვისურვებდი, სამართლის გზით ვიპოვოთ გამოსავალი. ერთი რამ მინდა, გარკვევით ვთქვა: თუ შედეგი არ დადგა და ოპოზიცია ქუჩაში დარჩა, შეიძლება, სახელმწიფომ უზარმაზარი პოლიტიკური პოტენციალი დაკარგოს. ამის ანაზღაურებას კი ძალიან დიდი დრო დასჭირდება. პატარა პარტიებს ხმა ამომრჩეველმა, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა იმიტომ მისცეს, რომ მესამე პოლიტიკური ძალა გაჩენილიყო. შემდეგ არჩევნებში, მეეჭვება, ეს ძალები კვლავ შევიდნენ პარლამენტში. ამიტომ ქვეყანა პოლიტიკურ სპექტრს დაკარგავს და ისევ ორპარტიულ პოლიტიკას მივიღებთ.

თუ ასე გაგრძელდა და ოპოზიცია ქუჩაში დარჩება, მარგინალიზაციის პროცესს ვერ ასცდება. დამენანება, ეს პოლიტიკური დაპირისპირება პარლამენტში არ გადავიდეს, პოლიტიკური სახე არ მიიღოს და დარჩეს მხოლოდ ქუჩის დაპირისპირების დონეზე. თუ ასე გაგრძელდება, ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისთვის, მაგრამ სახელმწიფო, როგორც მანქანა, ერთპარტიულ პირობებშიც კი გააგრძელებს არსებობას, თუმცა, მეეჭვება, ერთპარტიული დარჩეს. ალბათ, შიდაცვლილებები მოხდება.

# შოთა მალაშხია: „ამერიკის ინტერესია, საქართველოს ჰყავდეს პროდასავლური ხელისუფლება“

## „ოპოზიცია ხმების დასაცავად ყველა ღონეს ხმარობს. დანარჩენი მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული“

მარიამ მჭედლიშვილი

ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი შოთა მალაშხია მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად და წართმეული ხმების დასაცავად. მისი აზრით, ჯერი საზოგადოებაზეა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ შოთა მალაშხიას ესაუბრა.



***– ოპოზიცია იმედოვნებს, რომ ცოცხალი მდუმარე ჯაჭვით, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, პომპეოს საქართველოში ვიზიტისას ეწყობა, მიიპყრობს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას. არის ამის იმედი?***

– რასაკვირველია. 31 ოქტომბერს გამართული არჩევნები უკვე გახდა კრიტიკის საგანი ჩვენს პარტნიორებში. ხომ ხედავთ, როგორი ერთიანია ოპოზიცია – პარლამენტში არავინ შედის. არჩევნების გამოცხადებულ შედეგს არ აღიარებენ არც ბარიერგადალახული და არც გადაულახავი სუბიექტები. არჩევნები ყველასთვის გაყალბდა. ხალხი პოლიტიკოსებს მოუწოდებს, დაიცვან ხმები და არ მიიღონ გაყალბება. ოპოზიცია ხმების დასაცავად ყველა ღონეს ხმარობს, დანარჩენი კი მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული. ქვეყნის ბედს ხალხი წყვეტს. ბელარუსში პროტესტი ისევ გრძელდება.

***– გრძელდება, თუმცა არალეგიტიმურად ცნობილი ლუკაშენკო არსად მიდის და პრეზიდენტობას აგრძელებს.***

– მთავარია საზოგადოების აქტიურობა. ბელარუსში პენსიონერებიც მართავენ საპროტესტო მარშებს. არადა, იქ პენსიონერებიც ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში არიან და ბელარუსები სხვა ბევრ რამეშიც გვჯობიან. ლუკაშენკო დემოკრატიულად არა, მაგრამ მაინც არჩეულია. მას ივანიშვილივით არაფორმალური კლანური მმართველობა არ დაუმყარებია, არც ნეპოტიზმი, კრიმინალი და კორუფცია აუყვავებია. თანამდებობებზეც პროფესიონალებს ნიშნავს.

***– გინდათ თქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ქუჩაში გამოსასვლელად მეტი მიზეზი აქვს?***

### „რეგიონში მცირდება რუსული გავლენა“

– ცხადია. ბელარუსში არც საგარეო ორიენტაციის მომენტია. ლუკაშენკოს ამას არავინ ედავება. ჩვენ კი გვყავს პრორუსული, გრუ-ს დონეზე მყოფი რეჟიმი. ამ რეჟიმმა, სხვა ყველაფერთან ერთად, მოიპარა ხმები ბოლო არჩევნებზე. ამას საერთაშორისო საზოგადოებაც გაიგებს, საქართველოში ჩამოსული მაიკ პომპეოც. ამ შემთხვევაში გვარს მნიშვნელობა არა აქვს, აშშ-ის პოლიტიკა ნებისმიერი ადმინისტრაციის დროს საქართველოს მიმართ არ შეიცვლება. ოპოზიცია ერთსულოვანია. ყველა აღიარებს არჩევნების გაყალბებას. ოპოზიციამ „ქართული ოცნება“ მარტო დატოვა. პოლიტიკოსებმა გზა მოიჭრეს. ისინი არ შედიან პარლამენტში. ქვეყნის ბედი ხალხზეა დამოკიდებული. ამიტომ ადამიანებმაც უნდა იაქტიურონ.

***– როგორ?***

– ვისაც როგორ შეუძლია, ისე. ზოგი პლაკატს დახატავს, ზოგი ე.წ. პრეზიდენტის რეზიდენციასთან მივა, ზოგი სხვა რამეს მოიფიქრებს. პოზიციას შეიცვლის ისიც, ვინც ახლა „ქართულ ოცნებას“ ემსახურება, მაგალითად, სატელევიზიო არხი „იმედი“, რომელსაც ბევრი „ნადეჟდას“ ეძახის. პოლიტიკოსები იმას კი არ ეუბნებიან მოქალაქეებს, მე რატომ არ მომეცი ხმაო. ისინი იცავენ კანონსა და არჩევანის უფლებას.

***– ამ სიტუაციაში რამდენად გამოსადეგია სირცხვილის დერეფნების მოწყობა 21 ოქტომბერს დანიშნული მეორე ტურის დროს?***

– ვილაცისთვის ეს მისაღებია, ვილაცისთვის – მიუღებელი. ვისაც როგორ შეუძლია, ისე გამოხატავს პროტესტს. არა მგონია, ამ სამარცხვინო არჩევნების მეორე ტურზე ბევრი ამომრჩეველი მივიდეს.

***– გლდანში ნიკა მელიას შტაბი დაარბიეს, ბათუმშიც დააზიანეს ნაციონალური მოძრაობის ოფისი. ეს ვის და რისთვის სჭირდება?***

– რა ბანდიტური ხელისუფლებაც არის, ისეთი ბანდიტური ქმედებებია. რა ჰგონიათ, კასტრირებულ პარლამენტში მარტო იმუშავებენ? ერთი კაცი რომ დააკლდეს სხდომას, ორგანულ კანონს ვერ მიიღებენ. ასე ვერ გაგრძელდება. მოვლენები აუცილებლად აგორდება.

***– ხალხი კი ითვლება ქვეყნის ბედის გადამწყვეტად, მაგრამ დიდი პოლიტიკა სხვა მოქმედებებიც არის. არსებობს ინფორმაცია, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ვაშინგტონთან ურთიერთობა დაალაგა.***

– ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორ შეიძლება, რუსი ოლიგარქის ხელისუფლებამ ამერიკაში ურთიერთობა ჩააწყოს! უეჭველი ის არის, რომ ამერიკელები ცდილობენ რუსული გავლენის შემცირებას. მართლაც, რეგიონში მცირდება რუსული გავლენა. ეს ეხება აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც. აზერბაიჯანმა დაიბრუნა თავისი ტერიტორიები. მართალია, რუსეთმა ყარაბაღის ზონაში განალაგა 2.000-მდე ე.წ. სამშვიდობო, მაგრამ ამასვე გააკეთებს თურქეთი. თურქეთის პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება უკვე მიიღო. აზერბაიჯანი, ვისაც უნდა, იმას მიიწვევს თავის ტერიტორიაზე. ანტირუსული განწყობა იზრდება სომხეთში. სომხეთში ნახეს, როგორ აგდებს რუსეთი თავის პარტნიორებს. დარჩა საქართველო. აშშ-ის ინტერესია, რომ საქართველოს ჰყავდეს პროდასავლური, დემოკრატიული ხელისუფლება. ამ დროს გაუგებარია, რატომ უნდა წავიდეს ვაშინგტონი გარიგებაზე ბიძინასთან. საქართველოს ეყოლება პროდასავლური ხელისუფლება.

***– როდის?***

– ეს ჩვენზეა დამოკიდებული. საქართველოს როლი იზრდება. აშშ-ის ინტერესიც დიდია. არ შეიძლება, ამერიკას უნდოდეს კრემლის მიერ დასმული ხალხი საქართველოს ხელისუფლებაში. თუ დალაპარაკებაა, ვაშინგტონი აირჩევს საუბარს იმათთან, ვინც დასავლეთის მომხრე, პროგრესული და დემოკრატიულია და არა ივანიშვილთან.

***– აშშ-ისა და ევროკავშირის მონაწილეობით პარტიები ერთმანეთს ელაპარაკებიან.***

– ესეც ადასტურებს დასავლეთის ინტერესს საქართველოს მიმართ. ამ მოლაპარაკებებზეც გამოირკვა, რომ ოპოზიცია ერთიანია და ყველას უნდა ხელახალი არჩევნები, ბუნებრივია, სხვა ცესკოს ორგანიზებით. თამარ ჟვანიას მსგავსი უტიფარი თავმჯდომარე ჯერ ცესკოს არ ჰყოლია. ხელისუფლებას მძიმე სიტუაცია ელის ყველა სფეროში – ეკონომიკაში, კოვიდის მართვაში. რამდენიმე თვის წინ, როცა დღე-ღამეში მთლიანად ინფექციის 30 შემთხვევა იყო, ცოლ-ქმარს მანქანაში ერთად არ სხამდნენ და ყველაფერი ჩაკეტეს. ამჟამად კატასტროფაა – დღეში 30 ინფიცირებული კვდება და მკაცრ ზომებს არ იღებენ. მედიკოსები გვეუბნებიან, ყველაფერი კარგად არისო.

***– მედიკოსები ზომების გამკაცრების რეკომენდაციას იძლევიან.***

– მაგათი კრიზისმენეჯმენტი ასეთია: როცა აწყობთ, შეარბილებენ, როცა არა – გაამკაცრებენ.

***– ოპოზიციის ერთიანობა ხშირად ირღვევა სააკაშვილის გამო. ზოგისთვის სააკაშვილის საქართველოს პოლიტიკაში აქტიური ჩართვა, ჩამოსვლა და ლიდერობა მიუღებელია.***

– ობიექტური ადამიანი აღიარებს, რომ სააკაშვილმა შექმნა თანამედროვე სახელმწიფო თავისი ინსტიტუტებით. თუ შეგიძლია, არჩევნების საკითხზე დაელაპარაკო ივანიშვილს, მაშინ, რატომ არ შეგიძლია იმავე თემაზე დიალოგი სააკაშვილთან? თუ მთავარია ივანიშვილის მოცილება, ახალი არჩევნები, მაშინ, რა დროს სააკაშვილთან ბრძოლაა?! ვფიქრობ, ეს კლიშეებია. სააკაშვილი თუ ჩამოვა, არჩევნებს გააყალბებს და დიქტატურას დაამყარებს? ეს ხომ ასე არ იქნება! მთავარია, მივაღწიოთ ახალ სამართლიან არჩევნებს. ამ არჩევნებზე ყველა სამართლიანად მიიღებს ხმას.

# ვისთვის არის სირცხვილის დერეფანი?

## ნუგზარ წიკლაურის განმარტება

პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრი ნუგზარ წიკლაური განმარტავს, ვისთვის მოეწყობა ე.წ. სირცხვილის დერეფანი.

როგორც წიკლაურმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, ე.წ. სირცხვილის დერეფნის გავლა არა „ქართული ოცნების“ გულწრფელ მხარდამჭერებს, არამედ იმ ადამიანებს მოუწევთ, ვინც არჩევნების გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა.

– ვინც ჩვენ დავიქირავეთ, ვისაც ჩვენ ხელფასებს ვუხდით, იმის მაგივრად, რომ ქართველი ხალხის ნებას მოემსახურონ, ასხვაფერებენ, აყალბებენ არჩევნებს, იქცევიან ისე, როგორც ყველაზე უფრო ამორალური და ზნედაცემული ადამიანები. ამ ადამიანებს ყოველთვის „სირცხვილის დერეფნები“ ექნებათ არა მხოლოდ საარჩევნო უბნებთან, არამედ ყველგან, სადაც გამოჩნდებიან.

ასეთები არიან ის მოსამართლეები, რომლებმაც სარჩელები არ მიიღეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებმაც ათასობით საჩივარზე უარი თქვეს, ესენი იქნებიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და ვითომ ხალხის რჩეულები, – განაცხადა წიკლაურმა.

ბათუმში 16 ნოემბერს გამართულ აქციაზე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვარშალომიძემ აქციის მონაწილეებს მოუწოდა 21 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის დღეს უბნებთან „სირცხვილის დერეფანი“ მოაწყონ.

# მაიკ პომპეო თბილისში ჩამოვიდა

გუშინ, 17 ნოემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საქართველოში ჩამოვიდა. თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საღამოს დაეშვა.

მას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე და საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი დახვდნენ.

ვიზიტის ფარგლებში მაიკ პომპეო ოფიციალურ შეხვედრებს 18 ნოემბერს გამართავს.

დაგეგმილია სახელმწიფო მდივნის შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანთან.

მაიკ პომპეო თბილისში, ასევე, შეხვდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს.

ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შეხვედრას გამართავს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

საქართველოს შემდეგ მაიკ პომპეო ისრაელს ეწვევა.



# მამაკაცი ქალს სექსუალური ძალადობის გამო უჩივის

## რა მოხდა ზესტაფონში




ზესტაფონში ახალგაზრდა ქალს 35 წლის მამაკაცის მიმართ სექსუალურ ძალადობასა და ადევნებას ედავებიან.

მამაკაცმა ქალს პოლიციაში უჩივლა და განაცხადა, რომ ქალი მის საცხოვრებელ სახლში უნებართვოდ შეიჭრა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა.

საქმეში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სმს-შეტყობინებების ამონაწერი, რომელიც დაზარალებულმა მამაკაცმა პოლიციას გადასცა.

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობაში ბრალდებულ ქალს, ის აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტი არ მომხდარა და ბრალმდებელთან ძალიან ახლო, სასიყვარულო კავშირი ჰქონდა, პოლიციაში ჩივილი კი მამაკაცმა ეჭვიანობის მიზეზით გადაწყვიტა.

– დაკითხული არ ვარ პოლიციაში, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს უნდა დამკითხონ. რასაც ამბობენ, ეს ცილისწამებაა. მეგობარი მამაკაცი იყო, რომელსაც ვუვლიდი, ვუსუფთავებდი, საჭმელს ვუკეთებდი, ვაჭმევდი, სახლს ვულაგებდი და ასე შემდეგ. მიზეზი ალბათ ეჭვიანობაა. ერთხელ რესტორანში ვქეიფობდი თანამშრომლებთან ერთად და არ გამიშვა მარტო და ჩემთან ერთად წამოვიდა რესტორანში, რასაც მოწმეები ჰყავს, – უთხრა „ტვ პირველს“ ბრალდებულმა ქალმა.

# ბესიკის ქუჩაზე სახლი აფეთქდა



თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე აფეთქება მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან აცნობეს, აფეთქება ბუნებრივმა აირმა გამოიწვია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე აფეთქება მოხდა. მისამართზე უმოკლეს დროში გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება ბუნებრივმა აირმა გამოიწვია, შედეგად ჩამოშლილია საცხოვრებელი სახლის წინა ფასადის კედელი. ადგილზე ხანძრის კვალი არ ფიქსირდება.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. შემთხვევის ადგილზე, ბესიკის ქუჩაზე, მობილიზებული იყო 3 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი და ყველა შესაბამისი სამსახური“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გორის ცენტრში მანქანა ამოტრიალდა



გუშინ, 17 ნოემბერს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გორის ცენტრში – სტალინისა და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე მსუბუქი ავტომობილი ამოტრიალდა.

მანქანაში მხოლოდ ერთი პირი, მძღოლი იმყოფებოდა. ის ავარიას უვნებლად გადაურჩა.

შემთხვევის გამო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ავტომობილებს შემოვლითი გზებით უწევდათ გადაადგილება.

ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

# საქართველო ტერორისტული თავდასხმების მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვს არ განეკუთვნება

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების თაობაზე ანგარიშს აქვეყნებს.

ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

ანგარიშის თანახმად, საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმების მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვს.

„საქართველოს ტერიტორია უცხოელი ტერორისტი მებრძოლებისთვის ხელსაყრელ ტრანზიტულ მარშრუტს არ წარმოადგენს. სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ერაყსა და სირიაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს აქვს ტერორიზმის დაფინანსების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო. საქმეებზე მუშაობენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლები და გენერალური პროკურატურის ზედამხედველი პროკურორები, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო რესურსი და მაღალი დონის ექსპერტიზა. ტერორიზმის დაფინანსების საქმეების განხილვის კუთხით, სამართლებრივი ან სტრუქტურული თვალსაზრისით ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამომძიებლებს და გენერალურ პროკურატურაში ზედამხედველ პროკურორებს ტერორიზმის დაფინანსების სხვადასხვა ტიპის საქმიანობის ძალიან კარგი ცოდნა აქვთ და ახორციელებენ პარალელურ ფინანსურ გამოძიებას ტერორიზმის საქმეებისა და ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე საქმეების ფარგლებში“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს აქვს ტერორიზმის დაფინანსების იდენტიფიცირების ეფექტური სისტემა. გამოვლენის შემდგომ, ტერორიზმის დაფინანსების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, ეფექტურად ხორციელდება, საგამოძიებო ტექნიკის ფართო შესაძლებლობების გამოყენებით.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა კარგად არის ინტეგრირებული კონტრტერორისტულ სტრატეგიასა და გამოძიებებში და საქართველო ეფექტურად იყენებს ალტერნატიულ დამსჯელ ღონისძიებებს, როდესაც პრაქტიკულად ვერ ხერხდება ტერორიზმის დაფინანსების მსჯავრდების უზრუნველყოფა.

2012 წლის შეფასების შემდგომ, ტერორიზმისა და ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციის კუთხით საქართველომ სამართლებრივი ჩარჩოს არსებითი ცვლილებები განახორციელა. შესაბამისად, ამჟამად არსებობს ამ დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მყარი სამართლებრივი საფუძველი.

დამატებით საქართველომ შეიმუშავა 2019-2021 წლების კონტრტერორისტული სტრატეგია, რომელიც ასევე მოიცავს ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კომპონენტს. სტრატეგია წარმოადგენს ყოვლისმომცველ და კარგად დამუშავებულ დოკუმენტს. სამართლებრივი ჩარჩო და კონტრტერორისტული სტრატეგია გამყარებულია გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კარგად ჩამოყალიბებული ინსტიტუციური სტრუქტურით.




ტერორიზმისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის საგამოძიებო დანაყოფი. სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ გენერალური პროკურატურაში ტერორიზმის დაფინანსებაზე მომუშავე სპეციალისტები.

ტერორიზმსა და ტერორიზმის დაფინანსებასთან გამკლავების კუთხით გენერალური პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დეპარტამენტებს გააჩნიათ სათანადო რესურსი. თანამშრომლები არიან კარგად მომზადებული და ავლენენ ცოდნის, პროფესიონალიზმისა და თავდადების შთამბეჭდავ დონეს. მათ აქვთ ფართო სამართლებრივი უფლებამოსილება, მოიპოვონ ინფორმაცია და მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა უწყებებთან, განსაკუთრებით პოლიციასთან, საბაჟოსთან და ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან. ისინი, ასევე, რეგულარულად თანამშრომლობენ საერთაშორისო პარტნიორებთან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სისტემატურ მონიტორინგს უწევს ტერორიზმის დაფინანსების კუთხით ახალ გლობალურ ტენდენციებს და ადრეულ ეტაპზევე ახორციელებს საფრთხეების იდენტიფიცირებას.

ტერორიზმის დაფინანსებაში მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული სანქციები არის სათანადოდ ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტის. საქმეები მოწმობს, რომ სახელმწიფო უწყებებს აქვთ შესაძლებლობა, წარმატებით განიხილონ ტერორიზმის დაფინანსების საქმეები. განსაკუთრებით, ჩატაევის საქმე არის ტერორიზმის დაფინანსების სხვადასხვა ტიპის საქმიანობის, მათ შორის ტერორისტებისთვის არაფულადი მხარდაჭერის აღმოჩენის, სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით საქართველოს ნების დემონსტრირების მაგალითი.

„შთამბეჭდავია საქართველოს ძალისხმევა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის კუთხით. საქართველოს სისტემები ტერორიზმის დაფინანსების იდენტიფიცირების,

გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სანქციების დაკისრების კუთხით გამართულად მუშაობს. სამართალდაცვითი ღონისძიებები ტერორიზმის დაფინანსების ქმედებების აღკვეთის კუთხით მნიშვნელოვნად შეესაბამება საქართველოს რისკის გარემოს. მსჯავრდებები იქნა მიღწეული ქვეყნის რისკის პროფილის შესაბამისად“, – ნათქვამია ანგარიშში.

ექსპერტთა კომიტეტმა ქვეყნის ძალისხმევა ამ მიმართულებით პოზიტიურად შეაფასა.

ანგარიშის თანახმად, საქართველომ ტერორიზმის დაფინანსების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით ეფექტურობის „არსებით“ დონეს მიაღწია.

# „გადაიხადოს 41 ლარი“

## ბექა ბასილაია ირაკლი კობახიძეს სასამართლოში უჩივის

ადვოკატ ბექა ბასილაიას თბილისის საქალაქო სასამართლოში „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეაქვს.



– ირაკლი კობახიძის განცხადების საფუძველზე, სუს-ში მიმდინარეობს გამოძიება სრულიად აბსურდულ საქმეზე და პატიოსან ადამიანებს, ომის ვეტერანებს, ტაქსის მძღოლებს, დაატარებენ ხან სუს-ში, ხან სასამართლოში და მათ მიმართ გაისმის ბრალდებები, რომ მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა რაიმეს დესტაბილიზაციის და არეულობის მცდელობას. მიმდინარე წლის ოქტომბერში ირაკლი კობახიძემ რამდენიმეგზის სხვადასხვა მედიასაშუალებისა თუ პირადი ფეისბუქის გვერდის გამოყენებით გაავრცელა არსებითად მცდარი, სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია.

ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ჩვენ ვითხოვთ მისი პასუხისმგებლობის საკითხს და შეგვაქვს სამოქალაქო სარჩელი საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ირაკლი კობახიძეს მოეთხოვება, უარყოს გავრცელებული მცდარი ინფორმაცია და ამ ხალხის წინაშე ბოდიში მოიხადოს. სარჩელი კოლექტიურია და მას ათეულობით ადამიანი აწერს ხელს, კობახიძემ მათ წინაშე ბოდიში მოიხადოს და ამავდროულად, ცრუ ინფორმაციისთვის საკომპენსაციოდ დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება სიმბოლურად, 41 ლარის ოდენობით.

ჩვენ ვიცით, თუ როგორი კონტროლის ქვეშ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ სასამართლო და მაქსიმალურად შეეცდებიან ამ პროცესის გაჭიმვას, იმიტომ, რომ შეუძლებელია, ამ პროცესის შემდეგ შედეგი არ დადგეს ირაკლი კობახიძის გამტყუნების თვალსაზრისით. შეუძლებელია, ამ სასამართლოს პირობებშიც კი, მას არ მოუწიოს ბოდიში მოხდა. ამავდროულად, მინდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მივმართო, რომელიც იქცა „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების სამსახურად, რომ ეს აბსურდული გამოძიებები შეწყვიტოს, – განაცხადა ბასილაიამ.

# 13 წლის დათო ვანაძე საწოლში გარდაცვლილი ნახეს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალსოფელში 13 წლის დათო ვანაძე ოჯახის წევრებმა საწოლში გარდაცვლილი ნახეს.

ბავშვის უეცარი გარდაცვალებით შეძრწუნებული მეზობლების თქმით, დათოს წინა დღეებში დაავადების ნიშნები არ ჰქონდა. ჩვენ დავუკავშირდით ქობულეთის მერიის წარმომადგენელს დავით ზოიძეს, რომელიც მომხდართან დაკავშირებით კვირის პალიტრას ესაუბრა:

– თავადაც შოკში ვარ და ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვდივარ. საუბედუროდ, 13 წლის ულამაზესი ბავშვი დავკარგეთ, ისე, რომ მიზეზი არ ვიცით. ექსპერტიზის დასკვნა მომხდართან დაკავშირებით მხოლოდ 20 დღის შემდეგ იქნება. თუმცა, დამეთანხმებით, დასკვნა ამ ოჯახისთვის ველარაფერს შეცვლის.

***– ბავშვს რამე დაავადების ნიშანი არ ჰქონდა ამ შემთხვევამდე? ხომ არ უკავშირდება ეს ყველაფერი კორონავირუსის პანდემიას? ვირუსი უცნობია და სხვადასხვა გამოვლინებით ვრცელდება.***

– გარდაცვალების წინა საათებში ბავშვს ღებინება დაეწყო ისე, რომ ტემპერატურა არ ასწევია. ეს, ზოგადად, უცხო მოვლენა არ არის და შესაძლოა, კვებითმა ინტოქსიკაციამაც გამოიწვიოს. რის გამოც ოჯახმა ექიმისთვის მიმართვა საჭიროდ არ ჩათვალა. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ბავშვს ღებინება დილით დაეწყო, დაასუსტა, მაგრამ შუადღისას მომჯობინდა და საჭმელი მოითხოვა. შემდეგ კი ისევ ცუდად გახდა და თქვა, ახლა წავალ და დავიძინებო. რამდენიმე ხანში ოჯახის წევრი მივიდა ბავშვის დასახედად, მაგრამ ბავშვი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

***– უმძიმესი შემთხვევაა.***

– ენით აუწერელი. ამ შოკიდან გამოსვლა ძნელია. თუმცა, ახლა კიდევ უფრო დაჟინებით ვთხოვ ყველას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, რა მარტივადაც არ უნდა ჩავთვალოთ შემთხვევა, აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს.

# 23.450 კილოგრამი დაავადებული კარტოფილი თურქეთში გაბრუნდება

23.450 კილოგრამი დაავადებული კარტოფილი ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდება.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელებისას კვლევისთვის აღებულ ნიმუშში კარტოფილის კიბოს არსებობა დადასტურდა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გაცნობებთ, რომ საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სარფის“ გავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან 23.450 კილოგრამი კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოვიდა.

საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელებისას კვლევისთვის აღებულ ნიმუშში კარტოფილის კიბოს არსებობა დადასტურდა.




საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა“, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ძმებ შუკაკიძეებს ნიკა მელიას ოფისი არ დაუწვავათ“

## ადვოკატის განცხადება




– ცხრაწლიანი რეჟიმის დროს ძალიან ბევრი ადამიანი არის მათზე განაწყენებული. გამორიცხული არ არის და მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ფაქტი ან თვითდაგეგმილია, ან რიგითმა ადამიანმა გაბრაზების ნიადაგზე ჩაიდინა აღნიშნული.

ამის შესახებ ნოდარ და ლევან შუკაკიძეების ადვოკატმა ია გაბედავამ განაცხადა.

ნიკა მელიას მტკიცებით, შუკაკიძეებმა გლდანში მისი საარჩევნო შტაბი გადაწვეს.

– აღნიშნულ ოფისში, როგორც თავად მელიამ აღნიშნა, კამერები არ გახლდათ, თუმცა მათ ყველა დანარჩენ ოფისში განთავსებულია ეს კამერები. ნიკა მელიამ დაადანაშაულა კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი და ძმები შუკაკიძეები. მან ისინი უწესო ადამიანებად მოიხსენია და აღნიშნა, რომ ლევან შუკაკიძე მითითებებს აძლევს კალაძეს და კობიაშვილს. ბუნებრივია, ამისთვის საჭიროა მტკიცებულებები. მელიამ საჯაროდ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე განაცხადა, რომ მათ ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაული.

ნიკა მელიამ ასევე გააჟღერა, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებამდე ნოდარ შუკაკიძე საბერძნეთის ციხიდან ჩამოვიდა და საქართველოში იმყოფებოდა. ჩვენ გვაქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ ნოდარ შუკაკიძეს დაუდასტურდა კოვიდინფიცირება და ციხეში მკურნალობას გადის. ის სამჯერ იყო გადაყვანილი საავადმყოფოში.

9-წლიანი რეჟიმის დროს ძალიან ბევრი ადამიანი არის მათზე განაწყენებული და მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ფაქტი ან თვითდაგეგმილია, ან რიგითმა ადამიანმა გაბრაზების ნიადაგზე ჩაიდინა აღნიშნული. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, რომ ამ ფაქტთან შემხებლობა არ აქვს, არავისთვის დავალება არ მიუცია და არავისთან კონტაქტი არ აქვს.

კალაძესა და კობიაშვილს რომ შევეკითხე, ამ ადამიანს მხოლოდ ტელევიზორიდან იცნობენ, – განაცხადა ია გაბედავამ.

# ილიკო სუხიშვილი მოტოციკლით ხეს შეეჯახა



ქართული ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი ავარიაში მოყვა. არსებული ინფორმაციით, ილიკო სუხიშვილი მოტოციკლით ხეს შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განუცხადეს, ილიკო სუხიშვილს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა გადაუდებელი დახმარება ადგილზე აღმოუჩინა. მას ზედაპირული მრავლობითი ტრავმები აღენიშნებოდა.

როგორც ცენტრში განმარტავენ, სუხიშვილს, შესაძლოა, ქვედა კიდურის მოტეხილობა ჰქონდეს. ის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა თუშეთის მიმართულებით ყოველკვირეული რეისები განაახლა




შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა ალვანიდან თუშეთის მიმართულებით ყოველკვირეული რეისები განაახლა. სასაზღვრო ავიაციამ განახლებული რეისით სოფელ ომალოში პირველი მგზავრები უკვე გადაიყვანა. გზის ჩაკეტვის გამო თუშეთში დარჩენილი მოსახლეობა კი ბარში ჩამოიყვანა.

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი საავტომობილო გზის ამოქმედებამდე ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად ომალოსა და მიმდებარე სოფლებში რეგულარულად, კვირაში ერთხელ იფრენს და, მესაზღვრეებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურება.

რეგულარული რეისების დანიშვნის შემდეგ თუშეთში ზამთრის პერიოდში 2-ჯერ მეტი მოსახლე რჩება. მათ, ასევე, შესაძლებლობა აქვთ, საავტომობილო გზის გახსნამდე განაახლონ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

რთული გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პირობების გამო სოფელი ომალო 6 თვის განმავლობაში დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტილია.

# ილჰამ ალიევი: „ყარაბაღის სტატუსზე საუბარი გამორიცხულია“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აცხადებს, რომ ყარაბაღის სტატუსზე საუბარი გამორიცხულია.

— არაერთხელ მითქვამს, რომ არასდროს დავუშვებთ აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიაზე მეორე სომხური სახელმწიფოს შექმნას. ბევრჯერ მითქვამს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არასდროს გახდება მოლაპარაკებების თემა. მითქვამს, რომ ჩვენ ამ მთლიანობას სამხედრო გზით აღვადგენდით იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიანი გზით აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, — განაცხადა ალიევმა.



მისი თქმით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილია და ყარაბაღის სტატუსზე საუბარი გამორიცხულია.

— ყარაბაღის რაიმე სტატუსზე საუბარი შეუძლებელია. არსებობს ერთიანი აზერბაიჯანული სახელმწიფო, მრავალეროვანი, მრავალკონფესიური, პროგრესული აზერბაიჯანული სახელმწიფო, სადაც ყველა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანები ნორმალურად ცხოვრობენ. სომეხი ხალხიც ასევე იცხოვრებს. ჩვენ სომეხ ხალხს არაფერს ვერჩით, — განაცხადა ალიევმა.

პრეზიდენტის თქმით, ქალაქ შუშას ოკუპაციისგან გათავისუფლების ოპერაცია დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვდა.

— დარწმუნებული ვარ, ეს ოპერაცია მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში სპეციალურ ადგილს დაიმკვიდრებს. შუშას გათავისუფლება ბრწყინვალე გამარჯვებაა, რომელმაც მტერს უკანასკნელი დარტყმა მიაყენა. შემთხვევითი არ არის, რომ მტერმა 10 ნოემბერს ფაქტობრივად კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი, — განაცხადა ალიევმა.

მან აზერბაიჯანელ ხალხს ფიზული-შუშას გზის მშენებლობის დაწყება მიულოცა.

— დღეს საძირკველი ეყრება ფიზული-შუშას საავტომობილო გზის მშენებლობას. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას ყარაბაღის გვირგვინთან, ქალაქ შუშასთან მივყავართ. ამასთან, ეს არის პირველი პროექტი, რომელიც გათავისუფლებულ მიწებზე ხორციელდება, — აღნიშნა ალიევმა.

# სომხეთის პრეზიდენტმა ფაშინიანს გადადგომა მოსთხოვა



სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარქისიანი აცხადებს, რომ ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს.

— ახლა ყველა სომეხისთვის ერთ-ერთი ყველაზე გარდამტეხი მომენტია ჩვენი ერის ათასწლეულების ისტორიაში. ჩვენ წავაგეთ ომი როგორც ბრძოლის ველზე, ასევე დიპლომატიურ და საერთაშორისო არენებზე. ჩვენი ქვეყანა ისეთი აღარ არის, როგორიც 26 სექტემბერს ან თუნდაც 8 ნოემბერს იყო. ბოლო დღეების განმავლობაში ათობით პოლიტიკური კონსულტაცია გავიარე სხვადასხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ძალასთან. აბსოლუტური უმრავლესობა ერთიანია ერთ საკითხში: საჭიროა პრემიერის გადადგომა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, — განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა.

მან ერს ერთიანობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ქვეყნის გაძლიერება და ძალების მოკრება მხოლოდ ერთობით არის შესაძლებელი. არმენ სარქისიანმა პოლიტიკურ ძალებსაც მიმართა და პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ მოუწოდა.

— იმედი მაქვს, ყველა პოლიტიკური ძალა აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას და თავის წილ ისტორიულ მისიას ღირსეულად შეასრულებს, — აღნიშნა არმენ სარქისიანმა.

# უმუშევრად დარჩენილმა მამამ ახალდაბადებული ბავშვი გაყიდა



ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ცხიანანის ოლქის მცხოვრებმა მამაკაცმა მისთვის უცნობ პირებს ახლად დაბადებული ბავშვი მას შემდეგ მიჰყიდა, როდესაც კორონავირუსის პანდემიის გამო უმუშევრად დარჩა.

შრომითი მიგრანტი სახელად ლიუ, რომელსაც უკვე ჰყავდა ორი შვილი, რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც კორონავირუსის პანდემიის გამო სამსახური დაკარგა. მას უჭირდა იპოთეკის და ავტომობილის ხარჯების გასტუმრება. მან დაითანხმა ფეხმძიმე მეუღლე ჩჟანი, მომავალი შვილი ინტერნეტით გაეყიდათ.

პირველი პოტენციური მყიდველი კი აღმოჩნდა ქალი გვარად უ. ის 100 ათასი იუანის გადახდას დათანხმდა, მაგრამ მათი გარიგება ჩაიშალა, ვინაიდან ქალმა ბავშვის პოლიციაში დარეგისტრირება ვერ შეძლო იმის გამო, რომ მისი ბიოლოგიური დედა არ იყო. მაშინ ლიუ მერე დაინტერესებულ კლიენტს, 43 წლის სიუის დაუკავშირდა.

ქალმა პოლიციის ყურადღება იმ დროს მიიპყრო, როდესაც ბავშვით მატარებლით მგზავრობდა. მას სამართალდამცავებმა მატარებლიდან ქალაქ ხეფაიში ჩამოსვლა მოსთხოვეს.

თავდაპირველად სიუიმ პოლიციას განუცხადა, რომ ბავშვი იშვილა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ იყიდა. მან ახალდაბადებულ ბავშვში 163 ათასი იუანი, ოქროს ყელსაბამი და ოქროს სამაჯური გადაიხადა.

ბავშვის მშობლები ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით არიან დაკავებულები. კანონით ბავშვებით ვაჭრობაში დამნაშავეებს ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სამუდამო პატიმრობაცაა გათვალისწინებული.

# გერმანიის პოლიციამ დრეზდენის მუზეუმის გაძარცვისთვის 3 პირი დააკავა

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში პოლიციამ დრეზდენის მუზეუმის გაძარცვაში ეჭვმიტანილი 3 პირი დააკავა.

ამის შესახებ ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, სამივე დაკავებული გერმანიის მოქალაქეა.

დაკავების ოპერაციას წინ უძღოდა სახლებში, ავტოფარეხებსა და ავტომობილებში მასშტაბური რეიდი, რომელშიც 1.600-მდე სამართალდამცავი მონაწილეობდა.

ცნობისათვის, მძარცველებმა დრეზდენის მუზეუმიდან შეუფასებელი მე-18 საუკუნის ძვირფასეულობა 2019 წლის 25 ნოემბერს მოიპარეს.

მოპარულ ძვირფასეულობას შორის დრეზდენის თეთრი, 49-კარატიანი ბრილიანტიც არის.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სოფო ტოროშელიძეს კორონავირუსი აქვს




მომღერალ სოფო ტოროშელიძეს კორონავირუსი აქვს. ინფორმაცია მან სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

სოფო სახლში მკურნალობს და მაქსიმალურად იცავს ყველა წესს, რომლებსაც ექიმები გვაძლევენ.

# სალომე ქათამაძემ პედაგოგობა დაიწყო




მომღერალმა სალომე ქათამაძემ პედაგოგობა დაიწყო. სალომეს უკვე ჰყავს მოსწავლეები ვოკალში, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებს:

— ვატარებ ვოკალის გაკვეთილებს. დიახ! მართალია და ძალიან მომწონს და მიყვარს ეს საქმე!

ერთი ძალიან მაგარი მოსწავლე მყავს, რომლის კონცერტსაც სიამოვნებით დავესწრებოდი, უხ! დიდ სტიმულს მაძლევს და მინდა, რაც შეიძლება მეტი მყავდეს!

გელოდებით ყველას, ვისაც დაგაინტერესებთ და სურვილი გექნებათ!

# სანდრო გეგეჭკორი ვალერიან შიუკაშვილს ბეთჰოვენის ნაწარმოებს უძღვნის



პიანისტი სანდრო გეგეჭკორი ბეთჰოვენის მეხუთე საიმპერატორო კონცერტს უფროს კოლეგა ვალერიან შიუკაშვილს მიუძღვნის:

— ვინაიდან ბეთჰოვენის მეხუთე საიმპერატორო კონცერტის ერთ-ერთი ოქროს ჩანაწერი ეკუთვნის დიდ ვალერიან შიუკაშვილს, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემ მიერ შესრულებულ ამავე კონცერტს მას მივუძღვნი!

ბეთჰოვენის მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი, რომელსაც ჩავწერთ ეროვნულ სასახლეში მაესტრო მირიან ხუხუნაიშვილთან და სასახლის ორკესტრთან ერთად, მინდა მივუძღვნა ბატონ ვალერიან შიუკაშვილს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მამაკაცმა მიწაში ჩამარხული ცოცხალი ახალშობილი იპოვა



ინდოეთის უტარაკხენდის შტატში მამაკაცმა მიწაში ცოცხლად დამარხული ახალშობილი გადაარჩინა.

ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ექვს საათზე სოფელ ჩატიაფარმის მკვიდრი კუნდან სინგხ ბხანდარი მინდორში სამუშაოდ გავიდა. სანამ მუშაობას დაიწყებდა, მან ბავშვის სახე შენიშნა. ახალშობილი მიწაში იყო ჩაფლული და მხოლოდ თვალები და პირი მოუჩანდა.

ბხანდარმა დაუყოვნებლივ საშველად უხმო სოფლის სხვა მცხოვრებლებს და პოლიცია და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. უგონო მდგომარეობაში მყოფი ჩვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების მტკიცებით, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება და ახალშობილის მშობლების ძებნა დაიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რამაზ იოსელიანი: „მაგრა დაგვიკიდეთ უკვე!“



ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რამაზ იოსელიანი მთავრობას მოუწოდებს, ფეხბურთში ჩადებული მილიონების მეოთხედი კულტურას მოახმაროს:

— ამდენი ფული, რასაც ტყუილად ხარჯავთ ფეხბურთზე... იმის მეოთხედი კულტურას რომ მისცეთ, ვერა? თუ თავი მოუჭრია კულტურას ქვეყნისთვის ერთხელ მაინც? მაგრა დაგვიკიდეთ უკვე, მაგრაააა... როდემდე?!

# გია ნიკოლაძე მიტინგებზე მისი სიმღერების გამოყენების წინააღმდეგია



მომღერალი, პოეტი და კომპოზიტორი გია ნიკოლაძე მისი სიმღერების მიტინგებზე გამოყენების წინააღმდეგია.

გიამ სოციალურ ქსელში თავისი მოთხოვნა ლექსად ჩამოაყალიბა და საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციას მიმართა, რომ მისი ინტელექტუალური საკუთრება მაქსიმალურად იყოს დაცული:

ჩემს ლექსებს შეეშვით, ჩემი საქმისთვის მჭირდება! — აცხადებს ხელოვანი.

# „ნიჭიერის“ ფინალი 23 ნოემბერს გაიმართება

„ნიჭიერის“ ფინალი გიორგობის დღესასწაულზე, 23 ნოემბერს გაიმართება. შოუს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ერთკვირიანი პერიოდი მისცეს ყველას, ვისაც სურს, თავის ფავორიტს მხარი დაუჭიროს.

ფინალისტთა შორის არიან მომღერლები, მოცეკვავეები, ილუზიონისტები — ხალხისა და ჟიურის რჩეულები. თითოეულ მათგანს თანაბრად აქვს შანსი, „ნიჭიერის“ ახალი სეზონის გამარჯვებული გახდეს.

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

# ჯანო ანანიძე: „თუ კარიერას დავასრულებ, სხვაზე ადრე ვიტყვი“



ბოლო დროს გაჩნდა ინფორმაცია, რომ ქართველმა ფეხბურთელმა ჯანო ანანიძემ კარიერა დაასრულა. ეს ამბავი მისმა ყოფილმა მწვრთნელმა ხაცკევიჩმა გაავრცელა, თუმცა თავად ფეხბურთელმა უარყო.

როგორც ჯანომ თქვა, ის ჯერ არ აპირებს ფეხბურთიდან წასვლას და, თუ დააპირა, ამის შესახებ აუცილებლად თავად გააკეთებს პირველ განცხადებას.

**ჯანო ანანიძე:**

– სახლში ვიყავი და საქართველო-სომხეთის მატჩს ვუყურებდი. თამაშის შემდეგ ეს ამბავი მითხრეს. რა შემიძლია ვთქვა? არ მომწონს, როდესაც ჩემ შესახებ არასწორი ინფორმაცია ჩნდება და ამიტომ უარყოფითი პოსტის გამოქვეყნება გადავწყვიტე. ეს არის ჩემი რეაქცია ტყუილზე. ხალხმა არაფერი იცის ჩემი ჯანმრთელობის შესახებ და გადაწყვიტეს, ჩემზე ეს ამბავი დაეწერათ.

*– ეს ხაცკევიჩმაც თქვა.*

– არ ვიცი, რა თქვა ხაცკევიჩმა. ვნახე სათაური და შემდეგ უკვე არ მაინტერესებდა იმის წაკითხვა, შიგნით რა ეწერა ან ვინ რა თქვა. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, იქ ხაცკევიჩი საუბრობდა თუ სხვა ვინმე, რადგან მთავარია, მე რას ვფიქრობ და ვგრძნობ. თუ კარიერის დასრულებაზე თავში ფიქრი გამიჩნდება, პირველი ვიქნები, ვინც ამის შესახებ იტყვის. რატომ უნდა თქვას სხვამ ჩემ მაგივრად?!

*– ახლა თავს როგორ გრძნობთ?*

– არა მიშავს. მოსკოვის შემდეგ თურქეთში ვიყავი, სადაც მმკურნალობდნენ და გამომიკვლიეს. ახლა უკვე გამოჯანმრთელების მეორე ეტაპი მაქვს. მითხრეს, რომ სერიოზული არაფერია და სამედიცინო პროცედურებს ვიტარებ. ვფიქრობ, იანვარში 100%-ით მზად ვიქნები. ექიმები მეუბნებიან, რომ სერიოზული არაფერია, ჯვარედინი იოგების პრობლემა არ არსებობს.

# რამაზ სვანაძე: „ბევრ ცვლილებას არ გპირდებით“



დღეს საქართველოს ნაკრები წლის ბოლო მატჩს ითამაშებს. ცუდი ის არის, რომ ამ თამაშს უკვე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი გუნდი მოედანზე დროებით მწვრთნელის რამაზ სვანაძის ხელმძღვანელობით გავა, რადგან ვლადიმირ ვაისმა სომხეთთან წაგების მერე „ჩემოდნები ჩაალაგა“.

სვანაძის შესახებ ბოლოში ვისაუბრებთ, მანამდე გეტყვით, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 2 ვარჯიში უკვე ჩაატარა.

**რამაზ სვანაძე:**

– ჩემთვის ამ მდგომარეობაში ეროვნული ნაკრების გაძღოლა უდიდესი პატივია. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ეს ნდობის მანდატი მომანიჭეს. ჩემთვის ეს აბსოლუტური მოულოდნელობა იყო, სასიამოვნო სიურპრიზი. გუნდში გვაქვს რამდენიმე მიკროტრავმა. კონკრეტულ სახელებსა და გვარებს არ დავასახელებ. ამას მატჩამდე გავიგებთ. განსაკუთრებულ ცვლილებებს არ გპირდებით. შევეცდებით, რომ მოედანზე მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით გავიდეთ. ახლა ექსპერიმენტების არც დრო გვაქვს და არც შესაძლებლობა, ასე რომ, უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ.

მცირე სიახლეები იქნება, თუმცა – განსაკუთრებული არაფერი, რადგან ეს გუნდი 5 წელია, ერთად მოდის, ერთ ფეხბურთს თამაშობს და აქცენტები სწორადაა დასმული. შემადგენლობის მხრივ ჩვენ გვყავს 27 ფეხბურთელი, რომელთაგანაც ყველა მათგანი განიხილება ძირითადი თერთმეტეულისთვის.

მინდა, ბატონ ვლადიმირ ვაისს მადლობა გადავუხადო. მის ხელში ბევრ წარმატებას მივაღწიეთ, იყო წარუმატებლობაც, მაგრამ, მთლიანობაში, მის მუშაობას დადებითად ვაფასებ. გუნდში ისეთი განწყობაა, როგორიც აქამდე არასდროს ყოფილა. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ის ყველას ეკისრება, თუმცა ეს არის შიდასაქმე, რომელიც გარეთ არ უნდა გავიდეს და მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა თავად უნდა გაიზიარონ.

# საქართველოს თასი შავი ზღვის ბიჭებმა ჩაიბარეს



ხელბურთში საქართველოს თასი მეხუთედ გაიმართა და ბათუმის შავი ზღვის ბიჭებმა ის მესამედ მოიპოვეს.

ზღვისპირელებმა ფინალში ქუთაისი 30:25 დაამარცხეს.

ამავე გუნდების შარშანდელი ფინალი ერთი წლის წინ ბათუმმა 27:20 მოიგო. ცხადია, ქუთაისს რევანში ეწადა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

პირველმა ტაიმმა ძირითადად უკანა ხაზის შეჯიბრებაში ჩაიარა. ბათუმელთა სამეულს (გიორგაძე, ბერძენიშვილი, მსხვილიძე) ქუთაისელთა მხრიდან სიმონია, სტურუა და ფერაძე უპირისპირდებოდნენ. თამაში ერთხანს თანაბარი იყო, სანამ რატი მსხვილიძემ ზედიზედ 3 გოლი არ გაიტანა – 15:11. ბათუმელთა მარჯვენა შუამარბი პირველ ტაიმში უდავოდ საუკეთესო იყო – 7 გოლი გაიტანა და 2 შვიდმეტრიანი მოიპოვა. ბათუმი შესვენებაზე 4-ბურთიანი უპირატესობით წავიდა – 16:12.

მე-2 ტაიმი ქუთაისელთა კარში 16 წლის რუხაძემ დაიწყო და 6 ბურთიც მოიგერია. გუნდმა რამდენიმეჯერ შეამცირა სხვაობა მინიმუმამდე და 2-ჯერ ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი (19-20, 20-21), მაგრამ მეტოქე ამ სიტუაციას დაუძვრა.

მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ბათუმმა სხვაობა 5 ბურთამდე გაზარდა (27:22) და მოგება გაინაღდა.

შავი ზღვის ბიჭებმა შინაურ ასპარეზზე ზედიზედ მეოთხე ტიტული მოიგეს: 2018 და 2019 წლების ჩემპიონობა და 2019 და 2020 წლების თასი. ამის გარდა, ბათუმელთა ანგარიშზე კიდევ თითო ჩემპიონობა (2016) და თასია (2015). ქუთაისი, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ბოლო წლებში, ჯერაც უტიტულოდ არის და ბრძოლას საქართველოს 2020-21 წლების ჩემპიონატში განაგრძობს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ფინეთი საქართველოს მარკანენით დაუხვდება



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევრობასკეტი 2022-ის შესარჩევ ტურნირზე ნოემბერში ორ მატჩს გამართავს. 28-ში ჩვენები ფინეთს შეხვდებიან, ხოლო 30-ში – შვეიცარიას.

ილიას ზუროსის გუნდს ორივე მატჩი სტუმრად უნდა ეთამაშა, მაგრამ კოვიდპანდემიის გამო ფიბა-ევროპამ სანაკრებო მატჩების „ბაბლის“ სისტემით ჩატარება გადაწყვიტა და ოთხივე გუნდი (საქართველო, სერბეთი, ფინეთი, შვეიცარია) თავს ფინეთში მოიყრის.

ფინეთის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი შვეიცარიაში 69:64 მოიგო, ხოლო შინ სერბეთთან 58:80 დამარცხდა. საქართველო კი ნოემბრის შეხვედრებს ორი მოგებით ხვდება: თბილისში შვეიცარია ოვერტაიმში 96:88 დავამარცხეთ, ხოლო ბელგრადში სერბეთს 94:90 ვაჯობეთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ევრობასკეტი 2022-ზე თამაშის უფლება, როგორც მასპინძელს, დაბევებული აქვს.

ზუროსი მალე ნაკრების კანდიდატებს დაასახელებს. ჯერ კი მხოლოდ ფინელთა გაფართოებული შემადგენლობაა ცნობილი, რომელთა შორის იმყოფება „ჩიკაგო ბულსის“ ფორვარდი ლაური მარკანენი.

ფინელებს 2004 წლის შემდეგ მწვრთნელი არ შეუცვლიათ და მათ დღესაც გერმანელი სპეციალისტი ჰენრიკ დეტმანი ხელმძღვანელობს.

# პათოლოგოანატომმა მოკლული ნარკომოვაჭრის საცვალში 20 ათასი დოლარი იპოვა



კანადაში დაიწყო სასამართლო პროცესი ნარკომოვაჭრის წინააღმდეგ, რომელიც თავისი კოლეგის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და რომელსაც საცვალში 20 ათასი დოლარი ჰქონდა დამალული.

გამოძიების ვერსიით, 2018 წლის 30 ივნისს ქალაქ პოინტ-კლერში, სასტუმრო ჰოლიდეის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე ერთმანეთს ორი ნარკომოვაჭრე შეხვდა: 51 წლის ჯერომ ლატემი და 33 წლის ტომი დუგასი. წარსულში მათ ორჯერ ჰქონდათ ურთიერთობა შუამავლის, სახელად სებასტიან სოლარეკის გამოყენებით. მესამე ჯერზე მათ პირველად ჰქონდათ უშუალო ურთიერთობა.

დუგას სურდა, ლატემისგან ორი კილოგრამი კოკაინი შეეძინა, მაგრამ ვაჭრობა ჩხუბში გადაიზარდა. საბოლოოდ ლატემმა პისტოლეტი ამოიღო და დუგასი დაცხრილა. ამის შემდეგ ის ავტომობილში ჩაჯდა, რათა დანაშაულის ადგილს გასცლოდა, თუმცა მალევე უკან დაბრუნდა და მოკლული გაჩხრიკა. მას შემდეგ, რაც ფულს ვერ მიაგნო, წავიდა. მოგვიანებით პათოლოგოანატომმა, რომელმაც მოკლულის გაკვეთა ჩაატარა, დუგასის ქვედა საცვალში 20 ათასი კანადური დოლარი აღმოაჩინა.

სამართალდამცავებს ლატემის პოვნასა და დაპატიმრებაში სებასტიან სოლარეკი დაეხმარა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ნარკომოვაჭრე თავს დამნაშავედ არ ცნობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მამაკაცი ცხოვრებაში დაშვებულმა საუკეთესო შეცდომამ მილიონერი გახადა



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მკვიდრმა შეცდომით ორი ერთნაირი ლატარიის ბილეთი იყიდა და ორჯერ გახდა მილიონერი.

მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, შემთხვევით ერთის ნაცვლად ორი ბილეთი ინტერნეტით შეიძინა. შაბათს გამართული ლატარიის გათამაშების შედეგად ავსტრალიელმა ორჯერ მოხსნა ჯეკპოტი და საერთო ჯამში 2,1 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

– ყოველ კვირას ვთამაშობ ლატარიას და ჩვეულებრივ უბრალოდ ღილაკს „კიდევ ერთხელ თამაში“ ვაჭერ თითს. არ ვიცოდი, რომ ამ ჯერზე ორჯერ დავაჭირე თითი. ეს საუკეთესო შეცდომაა ჩემს ცხოვრებაში! მოხარული ვიქნები თუ კიდევ დავუშვებ ასეთ შეცდომებს! – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია თუ როგორ დახარჯავს მოგებულ მილიონებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 2. საარყე ტიკჭორა; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. გზის საფარი; 9. სახელდახელოდ შეთხზული გამკილავი შინაარსის მქონე ლექსი; 11. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამამზადებელი ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 21. ქიმიური ინდიკატორი; 22. თემის, გვარის მეთაური სვანეთში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 7. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 8. ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აკადემიკოსი; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. ძაფზე ასხმული სამკაული; 13. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 14. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 18. მოვლენის, სამუშაოს დასრულებული წრე დროის გარკვეულ მონაკვეთში; 20. ავღანეთის დედაქალაქი; 23. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 24. ბრიტანული ტაქსი; 25. აზერბაიჯანული სასიმღერო ჟანრი; 26. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 27. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

**თარაზულად:** 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 21. გურჯი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უტზონი; 2. ციცქა; 3. პრიზმა; 4. მალაგა; 6. მაჩაიძე; 9. წაბლი; 11. მიამიტი; 15. ქიმერიონი; 16. ბორანო; 17. კორექცია; 19. აქსიომა; 21. სტაიერი; 22. ცაცხვი.

**თარაზულად:** 5. სტატისტი; 7. არაბული; 8. ალონსო; 10. ფარვანა; 12. გორდი; 13. ფიალა; 14. სალუქვაძე; 18. რუმბა; 20. ქოქოსი; 23. საირმე; 24. აისი; 25. თუნუქი; 26. ვანი; 27. კრახუნა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ნოემბერი

აშშ დოლარი — 3.3004

ევრო — 3.9090

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3499

100 რუსული რუბლი — 4.2949

## ამინდის პროგნოზი 18 ნოემბრისათვის






## 17 ნოემბრიდან ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ლუის სუარესი: „თავს კარგად ვგრძნობ“



მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდმა ლუის სუარესმა განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს და კორონავირუსი მსუბუქ ფორმებში აქვს.

სუარესს ვირუსი რამდენიმე დღის წინ დაუდგინდა და ამის გამო ატლეტიკოს რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს, მათ შორის, ბარსელონის წინააღმდეგ:

— სანერვიულო არაფერია, რადგან ფეხბურთელებს ძლიერი იმუნიტეტი გვაქვს და არც მე ვარ გამონაკლისი. ვფიქრობ, ვირუსს მალე გავუმკლავდები და მინდა, მოედანზე დავბრუნდე. სამწუხაროა, რომ ბარსელონის წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ.

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი, აკვარიუმში ოქროს თევზი მყავს. სამ სურვილს ჩაუთქვამ და...

— გისრულებს?

— არა, გამოიცნობს!

●●●

გამყიდველი მამაკაცს ეუბნება:

— უყიდეთ ყვავილები თქვენს ცოლს.

— ცოლი არ მყავს.

— მაშინ — შეყვარებულს.

— არც შეყვარებული მყავს.

— მაშინ, იმის აღსანიშნავად იყიდეთ, რომ ასეთი მშვიდი ცხოვრება გქონიათ!

●●●

15 წლის თანაცხოვრების შემდეგ ცოლი ქმარს ეკითხება:

— ძვირფასო, შეგიძლია მიპასუხო, თავს ცხოვრებაში გამარჯვებულად გრძნობ თუ დამარცხებულად?

— დაზარალებულად!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— ეს კაბა ძალიან გასუქებს.

— მართლა? მე კი ნამცხვარს ვაბრალებდი. მაშინ, აღარ ჩავიცვამ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სერიალი „თესეა“ დააჯილდოვეს

ქართული სერიალი „თესეა“ დააჯილდოვეს. ინფორმაცია სცენარისტმა ქეთი დევდარიანმა გაავრცელა:

— საქართველოს სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ ჩვენს სერიალ „თესეას“ ტოლერანტობის ქომაგის წოდება მიანიჭა.



## მაია ასათიანმა წიგნი დაწერა

ტელეწამყვანმა მაია ასათიანმა დაწერა წიგნი, რომელიც გაყიდვაში დეკემბრის დასაწყისში გამოვა.

„სიცოცხლე ოცდახუთჯერ წამში“ — ასეთია წიგნის სახელწოდება და ის საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიის თაროზე გამოჩნდება.




ცნობილი ტელეწამყვანი მაია ასათიანი თავის ბიოგრაფიულ წიგნში საკუთარი ცხოვრების გარდამტეხ მოვლენებზე მოგვითხრობს, იხსენებს 90-იან წლებს, როდესაც პირველად შედგა ფეხი დიდ ჟურნალისტიკაში, უმნიშვნელოვანეს წარმატებებს, გარეშე თვალისთვის დაფარულ პირად ცხოვრებასა და მისთვის ძვირფას ადამიანებს. ავტორი საკუთარ პროფილს გვიხატავს და გვიჩვენებს, როგორია მისი სიცოცხლე ოცდახუთჯერ წამში.

— უზარმაზარ სივრცეში ყვითელი შუქი იდგა. ყველაფერი ციმციმებდა. ციმციმს განათების მძლავრ ნაკადში არეკლილი მტვრის ნაწილაკები იწვევდა. მექანიკურად ზემოთ ავიხედე. ჭერი არ ჩანდა. ყველგან სხვადასხვა განათების აპარატი ეკიდა. ყველაფერი ბრჭყვიალებდა. ორწლიანი სიბნელიდან მოსულ ბავშვზე ამდენი სინათლე ჯადოსნურ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ უსასრულო სივრცეში პატარა, ძალიან პატარა ვიყავი. სტუდიის ერთ წერტილში სკამი იდგა. სინათლის მძლავრი ნაკადი ამ სკამს ეცემოდა. კამერების მხარეს ბნელოდა. ეს ჩემი სამყარო იყო, — წერს მაია ასათიანი.

## სლუცკიმ ხვიჩა კვარაცხელია შეაქო



ყაზანის რუბინის მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და თქვა, რომ კვარაცხელიას რუსულად ლაპარაკი უჭირს, მაგრამ მაინც ძალიან კომუნიკაბელურია და ყოველთვის ცდილობს კონტაქტის დამყარებას. გარდა ამისა, სლუცკიმ მისი საფეხბურთო შესაძლებლობებიც შეაქო და თქვა, რომ ხვიჩა ძალიან ნიჭიერია:

— ხვიჩა შესანიშნავი ფეხბურთელი და ძალიან ლაღი ადამიანია, რომელიც ყოველთვის ცდილობს კონტაქტში შემოსვლას. მასთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნებაა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლატარიით გამილიონერებულმა ბრიტანელმა მოხუცი იმსხვერპლა

ლატარიის ევრომილიონის გათამაშებაში 45 მილიონი ფუნტი სტერლინგის მომგებ მამაკაცს სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელი ემუქრება.

2019 წლის ბოლოს 31 წლის მეთ ტოფემის ბმვ-ს მარკის ავტომობილი ფორდ ფიესტას მარკის ავტომობილს დაეჯახა, რომლითაც ხანდაზმული წყვილი: 75 წლის მერი ჯეინ რეგლერი და 78 წლის როდნი რეგლერი მგზავრობდნენ. ავარიის შედეგად ქალი დაიღუპა, ხოლო მისმა მეუღლემ მძიმე ტრავმები მიიღო.

ტოფემს მანქანის სახიფათო მართვის ბრალდება წაუყენეს, რამაც ადამიანის დაღუპვა და სხეულის მძიმე დაზიანებები გამოიწვია. სავარაუდოდ, ამ საქმის სასამართლო განხილვა 2021 წლის მარტში დაიწყება.

ტოფემმა მსხვილი მოგება 2021 წლის თებერვალში მიიღო, როდესაც ის 23 წლის იყო. მილიონერად გახდომის შემდეგ მან 1930-იან წლებში აშენებული 1,2 მილიონ ფუნტ სტერლინგად ღირებული სახლი შეიძინა, ასევე იყიდა საკუთარი შვეულმფრენი და რამდენიმე ავტომობილი: ბმვ, ასტონ მარტინი, პორშე, იაგუარი და რეინჯ როვერ ევოუკი, მიიღო პილოტის ლიცენზია და ავტორბოლებში მონაწილეობდა. მან ასევე სიდედრს 800 ათას ფუნტ სტერლინგად უყიდა კონტაქტური ზოოპარკი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გოგი გვახარია: „კორონამ ერთი კარგი საქმე გააკეთა“



აცხადებს კრიტიკოსი გოგი გვახარია და თავისი განცხადების მიზეზსაც განმარტავს:

— ბაბუაჩემმა გოგიმ იცოდა, ყველა გაჭირვებაში ხეირი უნდა ნახო და გადალახავო.

ამ კორონამ ერთი კარგი საქმე გააკეთა — ქართველთა განსაკუთრებულობის, „წილხვედრობის“ მითი დაანგრია, თანაც — სასტიკად. რა გაგვიკეთა, იცით? დაახლოებით ის, რაც ნაცებმა გაუკეთეს შალვა რამიშვილსა და მის დამცველებს. გახსოვთ, როგორ დაიჭირეს? დაიჭირეს და ხალხს აცალეს, პროტესტი გამოეხატა, ეყვირა, ეჩხუბა და მხოლოდ ამის შემდეგ აჩვენეს ჩანაწერი, მტკიცებულება. ეუხერხულათ ვილაცებს, შერცხვათ... მერე რა ქნეს, გახსოვთ? ციხიდან რომ გამოვიდა და პოპულარული იყო, ლამის გმირი იყო, სამსახური შესთავაზეს „ნადეჟდაში“. ისიც დასთანხმდა, ცოლ-შვილი უნდა ერჩინა და ასე „გააფუჭეს“, რადგან სულ ცოტა ხანში გამოუშვეს იქიდან. ამიტომ არ მიკვირს, ნაცები რომ ეჯავრება.

მაგრამ კორონას დავუბრუნდეთ. უბრალოდ, მასხრად აგვიგდო, გვაცალა მეტიჩრობა. „შეხედეთ, რა ხდება ჩვენს რეგიონში“ — იმეორებდა მთავრობა და კეკლუცობდა წარმატებებით. „საწყალი სომხები“, „დავეხმაროთ-არ დავეხმაროთ“, „მაგაში მაინც გვაჯობეს“ — ეს თუ გახსოვთ? გადახედეთ აპრილ-მაისის ფეისბუკს. ეს გუშინდელი დღეა!

მაგრამ ქართველი მაინც ვერ სწავლობს ჭკუას. „რა დამამცირებელია სომხებთან წაგება“ — ამეებზე არ ფიქრობს, არ უნდა გაიხსენოს თავისი ტრიპაჩობა და მატრაკვეცობა, რომელიც კორონას ეპოქაში გააათმაგა ხელისუფლებამ, ტიკინაძემ (ასე მოვიხსენიებ), ეკლესიამ... ყოველმა ჩვენგანმა.

არ გვინდა გავიხსენოთ, რაებს ვბოდავდით გაზაფხულზე.

კლდიაშვილის დაბადების დღეც აღვნიშნოთ ხოლმე ფეისბუკზე, ყველაზე ზუსტად დახატა სტატისტიკური ქართველის პორტრეტი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ერთგული ძაღლი პატრონის გადასარჩენად ზვიგენს თავს დაესხა

ავსტრალიაში ძაღლი თავს დაესხა ზვიგენს, რომელიც მის პატრონთან ახლოს მიცურდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

მეთევზე ჯეკ სტრიკლენდი კერძო კუნძულ ჰაგერსტოუნსზე, რომელიც ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მახლობლად მდებარეობს, ნაპირიდან თევზაობდა. როდესაც დაბალ წყალში მასთან ახლოს ზვიგენი მიცურდა, იმწამსვე წყალში გადაეშვა მისი ერთგული ძაღლი, სახელად ტილი.

თუმცა ძაღლი ზომით ზღვის მტაცებელს ჩამორჩებოდა, მაინც მოახერხა მისი შეშინება, ზვიგენი შეტრიალდა და ზღვის სიღრმისკენ გაცურა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



18 ნოემბრისათვის

**ვერძი** — პლანეტები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **კურო** — დღეს აქტიურობა მოგიწევთ. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **ტყუპები** — რთული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. გარისკვას ნუ ეცდებით. **კირჩხიბი** — სინდისის ხმას მოუსმინეთ. ხელმძღვანელობას ნუ შეეკამათებით. საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ლომი** — თქვენი შემართება და შრომისმოყვარეობა დაუფასებელი არ დარჩება. შესაძლოა, საჩუქარი მიიღოთ. **ქალწული** — კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **სასწორი** — აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **ღრიანკალი** — იფრთხილეთ. დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. დიდია მოტყუების ალბათობაც. **მშვილდოსანი** — განმარტოვდით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. საქმის დამთავრებისათვის ხელსაყრელ დროს დაელოდეთ. **თხის რქა** — ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **მერწყული** — პროფესიულ სფეროშიც და ოჯახშიც სიტუაცია რთულია. აუცილებელია გარემოს შეცვლა. **თევზები** — ნებისმიერი საქმე გამოგდით. თამამად და აქტიურად იმოქმედეთ. მეგობრებთან ურთიერთობა ოპტიმიზმს შეგმატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

**თარაზულად**: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხებზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ბალეტის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

